



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY



განკარგულება:გ-135. 135242432

თარიღი:30/08/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის
შესრულების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად. ანგარიში წარმოდგენილი სახით თან ერთვის. (დანართი: 6 -ფრ.)
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ №12).

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის

(ნაზარდი ჯამით) შესრულების შესახებ

ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსის 54-ე მუხლის გ) პუნქტის გ.ა) ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის II -კვარტლის შემოსულობების, გადასახდელების(მათ შორის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების) ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან:

- ❖ **შემოსულობები** - გეგმა 18 280.8 ათასი ლარი, ფაქტი ხაზინის მონაცემებით 14 593.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 80 %-ით.
- ❖ **გადასახდელები** -გეგმა 19 851.6 ათასი ლარი, ფაქტი ხაზინის მონაცემებით - 15 009.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 76 %-ით.
- ❖ **2023 წლიდან გადმოსული ნაშთის II-კვარტლის გეგმა-** 1 570.8 ათასი ლარი.
განვიხილოთ შემოსულობები მუხლობრივად:
 - **გადასახადები მუხლი(კლას.კოდი 11)** გეგმა- 9 734 ათასი ლარი. ფაქტი ხაზინის მონაცემებით 2 651.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 27 %-ით, მათ შორის:
 - **გადასახადები ქონებაზე (კოდი 1.1.3)** გეგმა 4 651.9 ათასი ლარი, შესრულება - -2331.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 0%-ით. (აუდიტის შეფასებით ქონების გაუფასურების გამო სს „ნენსკრა ჰოდრო“-მ დაამინუსა წინა წლებში გადახდილი 5 947 968 ლარი).
 - **გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე-დღგ (კოდი 1.1.4)** გეგმა - 5 082.1 ათასი ლარი, ფაქტი - 4 982.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 98 %-ით.
 - **„გრანტები“ (კოდი 1.3)** მუხლით დაგეგმილი იყო 7 901.5 ათასი ლარი, შესრულდა 11 207.1 ათასი ლარის ოდენობით, გეგმა შესრულდა 141 %-ით, მათ შორის:
 - **მიზნობრივი ტრანსფერის** გეგმა შეადგენდა 1474.1 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა - 1 378.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 93%-ით.
 - **სპეციალური ტრანსფერი ბიუჯეტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად** - გეგმა 0 ათასი ლარი, ფაქტი 5 500 ათასი ლარი.
 - **კაპიტალური გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან.** გეგმა - 6 143.7 ათას ლარი, შესრულებამ შეადგინა - 4 329 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 70 %-ით;

- „სხვა შემოსავლები“-დან (კლას.კოდი 1.4) შემოსულობების I გეგმა შეადგენდა 645 ათას ლარს, შესრულება 734.7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 113 %-ით, მათ შორის:
 - დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები(კოდი 1.4.1.1.2.4.) გეგმა --115 ათასი ლარი, შესრულება - 53.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 46 %-ით.
 - რენტა(კოდი 1.4.1.5.) გეგმა -380 ათასი ლარი, შესრულება-372.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 98 %-ით, მათ შორის:
 - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის (ხე-ტყე და წიაღისეული) შემოსავალმა შეადგინა 268.8 ათასი ლარი (მ.შ. ხე-ტყის მოსაკრებელი 265.6 ათასი ლარი)
 - მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 103.3 ათასი ლარი;
 - საქონელის და მომსახურების რეალიზაცია(კოდი 1.4.2.) გეგმა- 90 ათასი ლარი, შესრულება-67.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 74 %-ით, მათ შორის:
 - ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის გეგმა --60 ათასი ლარი, შესრულება--61.2 ათასი ლარი(;
 - სანებართვო მოსაკრებელი გეგმა --35 ათასი ლარი, შემოსავალმა კი შეადგინა-5 ათასი ლარი ;
 - სანქციების (ჯარიმები და საურავები) (კლას.კოდი 143) მუხლით შემოსავლების გეგმა 40 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს - 17 ათას ლარს, გეგმა შესრულდა 42 %-ით.
 - სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები -გეგმა 0, ფაქტი -225.3 ათასი ლარი(წინა წელს გაცემული საგარანტიოების მობრუნება, მ.შ. წვირმის გზა 196 000, ეპ ჯორჯია 29 000 ლარი

პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შესაბამისობას შემდეგი სახე აქვს:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება(ორგ.კოდი 01 00) გეგმა - 4 032.9 ათასი ლარი, ათვისება--3 415 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 85 %-ით, მათ შორის: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი 01 01) , გეგმა - 1 601.9 ათასი ლარი, ათვისება--1 394.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 87 %-ით, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულო(ორგ.კოდი 01 01 01) გეგმა - 763.5 ათასი ლარი, ათვისება -654.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 86 %-ით, მათ შორის:

შრომის ანაზღაურება(კლასიფ.კოდი 2.1) გეგმა--497 ათასი ლარი, ათვისება-- 486.3 ათასი ლარი; ხარჯი: გეგმა--713.5 ათასი ლარი, ათვისება-- 654.4 ათასი ლარი;

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია (ორგ.კოდი 01 02) გეგმა - 2 690 ათასი ლარი, ათვისება - 2 388.7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 89 %-ით, მათ შორის:

შრომის ანაზღაურება (კლასიფ.კოდი 2.1) გეგმა-- 910 ათასი ლარი, ათვისება-- 811.4 ათასი ლარი;

ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.2) გეგმა 2 675.5 ათასი ლარი, ათვისება-- 2 376.7 ათასი ლარი;
 არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა 14.4 ათასი ლარი, ათვისება 12 ლარი;
კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი 01 01 03) გეგმა - 8
 ათასი ლარი, ათვისება -4.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 56 %-ით,
საერთო დანიშნულების ხარჯები(ორგანიზაციული კოდი 01 02) გეგმა 571.3 ათასი
 ლარი, ათვისება -367.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 64 %-ით,
სარეზერვო ფონდი(ორგ.კოდი 01 02 01) გეგმა 380 ათასი ლარი. ათვისება 260 ათასი
 ლარი(სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საგნაო ინფრასტრუქტურის აღდგენა და
 ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვა)
მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა (ორგ.კოდი 01 02 03) გეგმა-177.8 ათასი ლარი.
 ათვისება - 173.9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 98%-ით, მათ შორის:
 0 ვალდებულების კლების მუხლში გეგმა- 152.8 ათასი ლარით, ათვისება-- 149.6 ათასი
 ლარი;
 0 პროცენტის მუხლის გეგმა - 25 ათასი ლარით, ათვისება-- 24.3 ათასი ლარი
 ▪ **სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად
 ჩამოჭრილი თანხები** (ორგანიზაციული კოდი 01 02 04) გეგმა 34.058 ლარი, ფაქტი 34.057 ლარი,
 გეგმა შესრულდა 100 %-ით
 ▪ **აიპ ახალგაზრდული თვითმმართველობა** (ორგ.კოდი 01 02 05) გეგმა - 239.5 ათასი
 ლარი, ათვისება -159.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 66 %-ით.
 ▪ **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის
 მხარდაჭერა** (ორგანიზაციული კოდი 01 02 06) გეგმა - 0 ათასი ლარი, ათვისება -0 ათასი ლარი.
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(ორგ.კოდი 02 00) გეგმა - 9
 070.2 ათასი ლარი, ათვისება - 5 345.9 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 59 %-ით.
 ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.2) გეგმა -- 867.1 ათასი ლარი, ათვისება- 664 ათასი ლარი;
 არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა - 8 203.1 ათასი ლარი, ათვისება- 4
 681.9 ათასი ლარი;
 მათ შორის:
მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია(ორგ.კოდი 02 01 01) გეგმა -- 5
 373.5 ათასი ლარი, ათვისება - 3 218.7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 60 %-ით, მათ შორის:
 ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.2) გეგმა -- 410 ათასი ლარი, ათვისება-- 373 ათასი ლარი (სტიქიის
 შედეგად დაზიანებული შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა);
 არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -4 963.5 ათასი ლარი, ათვისება- 2 845.6
 ათასი ლარი;
გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(ორგ.კოდი 02 02 01) გეგმა --313 ათასი
 ლარი, ათვისება - 271.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 87 %-ით, მათ შორის:
 სუბსიდია (კლასიფ.კოდი 2.5) გეგმა -- 161.2 ათასი ლარი, ათვისება-- 124.1 ათასი ლარი;
 არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმა -151.7 ათასი ლარი. ფაქტი -147 ათასი
 ლარი(ამწეკალათიანი ავტომობილიშ შეძენის ხარჯი).
წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(ორგ.კოდი 02 02 02) გეგმა - 434.5 ათასი ლარი,
 ათვისება 388 ათასი ლარი(89 %) (ლენჯერის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. ლემსიის და
 ნესგუნის წყლის სისტემის რეაბილიტაცია);
მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა(ორგ.კოდი 02 03) გეგმა -- 1 190.4 ათასი ლარი,
 ათვისება -- 662.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 56 %-ით, მათ შორის:
 0 ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.2) გეგმა -- 245.6 ათასი ლარი, ათვისება 166.8 ათასი ლარი;
 0 სხვა ხარჯი გეგმა-150 ათასი ლარი. ფაქტი - 150 ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -- 944.5 ათასი ლარი, ათვისება- 495.5 ათასი ლარი;

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯგებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია(ორგ.კოდი 02 04), გეგმა - 475 ათასი ლარი, ფაქტი - 468.5 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა - 98 %-ით. მათ შორის:

0 არაფინანსური აქტივების ზრდა. გეგმა - 475 ათასი ლარი, ათვისება - 468.5 ათასი ლარი(მულახის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. ჟაბეშის სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ლატალის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. ლელბაგი-იფხი სიდიანარის სანიაღვრე არხის მშენებლობა).

ხარჯი. გეგმა - 0 ათასი ლარი, ფაქტი - 0 ათასი ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა(ორგ.კოდი 02 05) გეგმა - 955 ათასი ლარი, ათვისება 337.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 35 %-ით, კერძოდ:

არაფინანსური აქტივების ზრდა; გეგმა - 905 ათასი ლარი, ათვისება 337.1 ათასი ლარი.

ხარჯები გეგმა 50 ათასი ლარი, შესრულება 0 ლარი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება(ორგანიზაციული კოდი 02 09) -გეგმა 328.6 ათასი ლარი ფაქტი - ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 0%-ით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა(ორგ.კოდი 03 00) გეგმა -925.3 ათასი ლარი, ათვისება --805.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 87 %-ით,).მათ შორის:

ა.აიპ“დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური“(ორგ.კოდი 03 01) გეგმა -925.3 ათასი ლარი, ათვისება --805.2 ათასი ლარი,კერძოდ:

სუბსიდი (კლასიფ.კოდი 2.5) გეგმა - 913.5 ათასი ლარი, ათვისება- 797 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -- 11.7 ათასი ლარი, ათვისება- 8.2 ათასი ლარი;

განათლება(ორგ.კოდი 04 00) გეგმა-- 2 427.6 ათასი ლარი, ათვისება- 2 345.2 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 97%-ით, მათ შორის:

სკოლამდელიგანათლებისდაფინანსება(ორგ.კოდი 04 01) გეგმა -- 1 123.7 ათასი ლარი, ათვისება --1 085.7 ათასი ლარი (ათვისება 97%).კერძოდ:

სუბსიდი: გეგმა --1 099.4 ათასი ლარი, ათვისება 1 081 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -24.3 ათასი ლარი, ათვისება- 4.7 ათასი ლარი;

▪ **სკოლების თანადაფინანსება (ორგ.კოდი 04 04)** გეგმა -1 303.9 ათასი ლარი, ათვისება -1 259.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 97 %-ით, კერძოდ:

0 ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.2) გეგმა --1 297.5 ათასი ლარი, ათვისება -1 259.4 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -- 6.3 ათასი ლარი, ათვისება- 0 ათასი ლარი;

1. **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები(ორგ.კოდი 05 00)** გეგმა 1 993.3 ათასი ლარი, ათვისებულია 1 837.1 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 92 %-ით, მათ შორის:

▪ **ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი (ორგ.კოდი 05 01 01)**გეგმა 728.6 ათასი ლარი,ათვისება-684.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 94 %-ით, კერძოდ:

სუბსიდიის გეგმა --573.8 ათასი ლარი, ათვისება --529.5 ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -- 154.7 ათასი ლარი, ათვისება- 154.7 ათასი ლარი(ავტომობილის შეძენა).

- **აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა**(ორგ.კოდი 05 01 02) გეგმა -- 23.9 ათასი ლარი, ათვისება --14.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 61%-ით.

- o ხარჯი: გეგმა --20.4 ათასი ლარი, ათვისება --14.5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -3.5 ათასი ლარი, ათვისება- 0 ათასი ლარი;

- **ბიბლიოთეკების დაფინანსება** (ორგ.კოდი 05 02 01) გეგმა --83.9 ათასი ლარი, ათვისება - -63.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 75 %-ით,

- o სუბსიდია: გეგმა --62.1 ათასი ლარი, ათვისება --59.2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა, გეგმა 21.2 ათასი ლარი. ათვისება 4.1 ათასი ლარი.

- **ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი"** (ორგ.კოდი 05 02 02) გეგმა --497.8 ათასი ლარი, ათვისება --477.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 96%-ით, მათ შორის:

სუბსიდია (კლასიფ.კოდი 2.5) გეგმა -- 491.1 ათასი ლარი, ათვისება-- 470.5 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდა, გეგმა -6.7 ათასი ლარი. ათვისება 6.7 ათასი ლარი.

- **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი** (ორგ.კოდი 05 02 03) გეგმა 84.5 ათასი ლარი, ათვისება --54.9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 65 %-ით, მათ შორის:

სუბსიდია (კლასიფ.კოდი 2.5) გეგმა --81.9 ათასი ლარი, ათვისება-- 54.9 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდა, გეგმა -2.5 ათასი ლარი. ათვისება 0 ათასი ლარი.

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება(ორგ.კოდი 05 03) გეგმა --235.4 ათასი ლარი, ათვისება --222.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 94%-ით, .მათ შორის:

ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.8) გეგმა --206.6 ათასი ლარი, ათვისება - 193.4 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდა, გეგმა -28.7 ათასი ლარი. ათვისება 28.7 ათასი ლარი.

აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან - ლანდ (ორგ.კოდი 05 07)

გეგმა --339 ათასი ლარი, ათვისება --320.5 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 95%-ით, კერძოდ:

სუბსიდია: გეგმა --311.8 ათასი ლარი, ათვისება --299.5 ათასი ლარი.

გრანტი გეგმა -13.6 ათასი ლარი, ფაქტი 12.4 ათასი ლარი

არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -13.5 ათასი ლარი, ათვისება- 8.5 ათასი ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(ორგ.კოდი 06 00) გეგმა-- 1 402.1 ათასი ლარი, ათვისება-- 1 260.6 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 90 %-ით,

ა.ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანდაცვა (ორგ.კოდი 06 01 01) სუბსიდიის გეგმა --93.6 ათასი ლარი, ათვისება -64.9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 69 %-ით, ;

მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება (ორგანიზაციული კოდი 06 01 02) : გეგმა --257.2 ათასი ლარი, ათვისება --257.2 ათასი ლარი, ; გეგმა შესრულდა 100 %-ით,

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა(ორგ. კოდი 06 02) : გეგმა --435 ათასი ლარი, ათვისება --412.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 95 %-ით,

- **სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება** (ორგ.კოდი 06 03) გეგმა --110 ათასი ლარი, ათვისება --105 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 96 %-ით.

- **უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა** (ორგანიზაციული კოდი 06 04) გეგმა - 0 ათასი ლარი. ათვისება 0 ათასი ლარი(0%).

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება (ორგ.კოდი 06 05) გეგმა --56.2 ათასი ლარი, ათვისება -- 56.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 100 %-ით.
- ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა (ორგანიზაციული კოდი 06 06) გეგმა - 40.9 ათასი ლარი. ათვისება 37.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 91 %-ით.
- მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების და მაჩუბების გადასახური მასალით უზრუნველყოფის პროგრამა -(ორგანიზაციული კოდი 06 07) გეგმა - 409 ათასი ლარი. ათვისება 326.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 80 %-ით.

2024 წლის ბიუჯეტის II -კვარტლის გეგმის მთლიანი სალდოს მაჩვენებელია -1 418 ათასი ლარი, ფაქტიური მაჩვენებელი - 266.5 ათასი ლარი.

II კვარტლიდან III კვარტალში გარდამავალი ნაშთი შეადგენს 1 154.89 ათას ლარს.